ამ ნომერში

- **გ. პოლუდიახის გამარჯვება** მე-3 გვ.
- **ნახტომი 12.550 მეტრიდან** მე-3 გვ.
- **საბჭოთა ნაკრები — პირველ ადგილზე** მე-4 გვ.

„საყაიმო" ბალანსით

სოფია, 30 ივნისი. აქ დაამთავრა თავისი გამოსვლები რსფსრ-ს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფეხბურთში. უკანასკნელი შეხვედრა მიხაილოვგრადის გუნდთან მან ფრედ (1:1) ითამაშა. ამრიგად, 3 მატჩიდან საბჭოთა ფეხბურთელებმა 1 წააგეს, 1 მოიგეს და 1 ფრედ დაამთავრეს.

წინ არიან ტალი და ლარსენი

ბლედი, 30 ივნისი. გუშინ გაიმართა პორტიშ — ტალისა და ლარსენ — ივკოვის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩების I ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ზედმეტი პაიკის მიუხედავად, ტალმა ვერ შეძლო მეტოქის ბრწყინვალე დაცვის დაძლევა და ყაიმს დაჯერდა.

სამაგიეროდ, ლარსენმა მოახერხა თავისი უპირატესობის გამოყენება და გაიმარჯვა.

ამრიგად, მატჩების ანგარიშია 1,5:0,5 მ. ტალისა და ბ. ლარსენის სასარგებლოდ.

- **დ. ლოუს აზრით...** მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 128 (2848) ● ხუთშაბათი, 1 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

საათი!

◆ **ციურიხი, 30 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ცნობილმა პოლონელმა სპორტსმენმა ი. სიდლომ შუბი ტყორცნა 85,50 მეტრზე, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

◆ **როსტოკი, 30 ივნისი.** ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები — ლენინგრადელი ა. ივანოვი და ტალინელი ტ. კივი. პირველ დღეს ივანოვმა გაიმარჯვა გერმანელ გეგენმაიზერთან — 6:1, 6:1, 6:4, ხოლო კივიმ—შლიონსკისთან (გდრ) — 7:5, 0:6, 6:1.

ბორჯომში — რესპუბლიკური...

5 ივლისს ბორჯომში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული ჩემპიონატი. ტურნირში ითამაშებს 16 მოჭადრაკე. მართალია, მათ შორის არ იქნებიან ჩვენი ცნობილი ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე და ე. კაკაბაძე, მაგრამ ასპარეზობის შემადგენლობა მაინც საკმაოდ ძლიერია.

პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონები, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია და ნ. ალექსანდრია, ცნობილი პირველთანრიგოსნები გ. ბუცხრიკიძე, ც. კახაბრიშვილი, ლ. კოროშინაძე, ვ. კუპრაშვილი, თ. ხუგაშვილი, მ. ნამორაძე, მ. დალაქიშვილი, გ. ჩიქობავა (ყველა — თბილისი) და უძლიერესი მოჭადრაკეები ფოთიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ზუგდიდიდან.

ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლ. წეროძე) 29 ივლისამდე გასტანს.

1. თბილისი — ტურისტული...

ეს ლამაზი შენობა, რომელიც უკანასკნელ ხანს შეემატა ჩვენს დედაქალაქს, ტურისტული ბაზაა. იგი ყოველწლიურად 30 ათასზე მეტ მოგზაურს მიიღებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. სტუმრებს აქ გულთბილი მასპინძლობა, კეთილმოწყობილი ოთახები, მხიარული გართობა, აქტიური დასვენება და, რაღა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო ღონისძიება ელით.

სსრ კავშირის პირველობა

მსაჯს რომ პრინციპულობა არ გამოეჩინა...

ფეხბურთი
1965

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 30 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 1:0 (0:0).

„დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, მეტრეველი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

„ნეფტიანიკი": კრამარენკო, ბაბაევი, ახუნდოვი, ჯალილოვი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, მელქუმოვი (გაჯიევი).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ჩვენ საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს გუშინდელი მატჩის რეცენზიის სათაურს იმის გამო, რომ კუიბიშეველმა არბიტრმა ნ. კრილოვმა მართლაც სრული პრინციპულობა გამოიჩინა და მას შემდეგ, რაც გატანილი გოლის კატეგორიული დადასტურება მიიღო გვერდითი მსაჯისგანაც, გადაჭრით და უყოყმანოდ გაიშვირა ხელი ცენტრისკენ. ბაქოელი ფეხბურთელები მთელი შემადგენლობით ეკვეთნენ კრილოვს და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან ამ გადაწყვეტილების უარყოფას.

არბიტრი კი სავსებით მართალი იყო. საქმე კი შემდეგში გახლდათ: მეორე ტაიმის 31-ე წუთზე „ნეფტიანიკის" დაცვას უყურადღებოდ დარჩა მარჯვენა ფლანგზე ბარქაია. მან მიიღო გადაცემა მინდვრის ცენტრიდან, დაიძრა მეტოქის კარისკენ და შორი მანძილიდან დაარტყა კარში. დაარტყა, როცა ამას არ მოელოდა მეკარე. კრამარენკომ მოსწრებით მოასწრო ბურთის დაჭერა, მაგრამ უკვე მას შემდეგ, რაც ბურთმა **მთლიანად** გადაკვეთა კარის ხაზი. აი, ამ მომენტს დავობდნენ ბაქოელები ზედმეტი გაცხარებით და აზარტით. ეტყობა, მათ ენანებოდათ მატჩის წაგება, რომელიც გუნდმა საკმაოდ კარგად ჩაატარა და სრული საფუძველიც ჰქონდა გარანტირებულად ჩაეთვალა მეტად საჭირო 1 ქულა.

ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა „ნეფტიანიკთან" შეხვედრის მოგება. ორივე ფლანგი — მეტრეველიც და მესხიც — ძალიან ხშირად ავებდნენ ბრძოლას ბაბაევთან და ჯალილოვთან. თავდასხმის ცენტრალური წყვილი (ბარქაია, იამანიძე) მოქმედებდა არა შეტევის ავანპოსტზე, როგორც ამას სისტემა მოითხოვს, არამედ სიღრმეში, იქ, სადაც იერიში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და კარში გადამწყვეტი დარტყმის შესასრულებლად კიდევ და კიდევ საჭირო ხდება ახალი გზების ძიება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პირველ ტაიმში ხურცილავას რამდენიმეჯერ მოუხდა მინდვრის სიღრმიდან ძლიერი დარტყმების შესრულება „ნეფტიანიკის" კარში. წინა ხაზების მოთამაშეები საამისო საშუალებას ვერ პოულობდნენ.

რ. ქორიძე.

გუშინ...

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

● **„დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 0:0.**

● **„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:3.** გოლები გაიტანეს: ტორპედოელთა მხრივ **შჩერბაკოვმა** (2) და **ივანოვმა**; დინამოელთაგან — **ავრუცკიმ.**

● **„პახტაკორი" (ტაშკენტი) — სკა (როსტოვი) 1:1.** გოლების ავტორები არიან: **აბდურაიმოვი** („პახტაკორი") და **შიკუნოვი** (11-მეტრიანი დარტყმით).

● **„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:3.** ლოკომოტიველთა მხრივ სამივე გოლი გაიტანა **გორშკოვმა**, „ჩერნომორეციდან" — **კორშუნოვმა, ჩებოტარიოვმა** და **ლობანოვსკიმ.**

● **„ზენიტი" (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:1.** ბურთები გაიტანეს **ფიოდოროვმა** („კრილია სოვეტოვი") და **ვასილიევმა.**

● **„დინამო" (მინსკი) — სკა (ოდესა) 2:0.** მინსკელებს გამარჯვება მოუტანეს **მუსტიგინმა** და **პოგალნიკოვმა.**

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

პირველი ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მოსკოვი)	10	7	2	1	18—4	16
ცსკა	10	5	4	1	13—4	14
„დინამო" (მინსკი)	10	5	3	2	11—4	13
„შახტიორი" (დონეცკი)	10	5	3	2	16—11	13
„დინამო" (თბილისი)	10	5	3	2	14—9	13
„სპარტაკი" (მოსკოვი)	11	5	3	3	12—7	13
„დინამო" (კიევი)	10	4	4	2	11—7	12
სკა (როსტოვი)	10	3	5	2	11—10	11
„დინამო" (მოსკოვი)	11	3	4	4	12—11	10
„ზენიტი" (ლენინგრადი)	11	3	4	4	12—11	10
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	10	4	2	4	11—12	10
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	11	3	3	5	15—18	9
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	10	3	3	4	12—15	9
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	11	4	1	6	9—13	9
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	10	2	4	4	9—15	8
სკა (ოდესა)	10	0	2	8	2—19	2
„ტორპედო" (ქუთაისი)	9	1	0	8	2—20	2

ფარფლებითა და აქვალანგით

სოხუმი. აქ ჩატარდა აფხაზეთის პირველობა წყალქვეშა სპორტში. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ადგილობრივი დოსააფისა და „ტრუდის" საზღვაო კლუბების, აგრეთვე გაგრისა და გუდაუთის გუნდები.

ფარფლებითა და ნიღბით 500 მეტრზე ქალთა ცურვაში გაიმარჯვა ვ. მახროვამ („ტრუდი"). 1000 მეტრზე ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა ი. ტიომნიმ. მახროვას უპირატესობით აღინიშნა 25 მეტრზე ყვინთვით ცურვა. ს. ნიკიტინასთან (გუდაუთა) ერთად მან I-II ადგილები გაიყო აქვალანგითა და კომპასით ორიენტიროდ წყალქვეშ მონიშნული ზონის გავლაში.

წყალქვეშ ორიენტირით „სვლაში" გაიმარჯვა გუდაუთელმა ი. პლასკინამ. ვაჟებში საუკეთესონი იყვნენ: ყვინთვაში — ჟ. კობეცკოი („ტრუდი"), ორიენტირითა და ორიენტიროდ წყალქვეშ „ლაშქრობაში" — ვ. ჭანტურია („ტრუდი").

აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვეს: ვ. მახროვამ და გუდაუთელმა ნ. ტატარინცევმა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა დოსააფის საზღვაო კლუბმა.

ვ. სემიონოვი.



ფრიადოსანი

— ფრიადი მივიღე! — ახარა შინაურებს — ლალი რევიამ, შემდეგ ბებიას მიუბრუნდა, გადაკოცნა და უთხრა: — ტყუილად გეშინოდა, ბებიკო!

შინ ნართლაც აფრთხილებდნენ ლალის, — დღეს მუსიკაში გამოცდა გაქვს და მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრებაზე გამოსვლა ხელს გადაგიღლისო. ლალის ჯიუტობა არავის ეგეგონა ოჯახში, მაგრამ იმ დღეს თავისი გაიტანა და ორგანვე გამარჯვება იზეიმა: დილით ფინალური შეხვედრა მოიგო და მცხეთის რაიონის ჩემპიონი გახდა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის, საღამოს კი კომისიამ „ფრიადზე" შეაფასა მისი ოსტატობა ფორტეპიანოზე დაკვრაში.

სწორედ ეს „ფრიადი" ახარა ლალიმ ბებიას. თუმცა არავის გაჰკვირვებია ოჯახის პატარა წევრის ეს წარმატება. ლალი ხომ ყოველი მეოთხედის ბოლოს მოაფრიალებდა ხოლმე სკოლიდან წარმატების ფურცელს, სადაც „ხუთიანების" გარდა სხვა ნიშანს ვერ ნახავდით. წელს სწორედ ამ ნიშნებზე დაამთავრა 9 კლასი სკოლაში და 7 კლასი მუსიკალურ სასწავლებელში.

საკმაო დატვირთვის მიუხედავად, ამ ერთი წლის წინათ ლალი რევიამ ნიჩბოსნობაში დაიწყო მეცადინეობა. სხვაგვარად არც შეეძლო გოგონას: იგი ხომ ნიჩბოსანთა დაბაში იზრდებოდა და ამასთან, მამა — კონსტანტინე რევია — საქართველოს ნიჩბოსანთა ფედერაციას ხელმძღვანელობს.

მოსწავლეთა სპარტაკიადაში სწორედ ამ ამპლუით წარსდგა ლალი. იგი თავისი მშობლიური მცხეთის ღირსებას იცავდა. მართალია, ამჯერად ახალბედა სპორტსმენმა რამდენიმე მეტოქე გაუშვა წინ, მაგრამ ეჭვი არაა, რომ იგი მალე აქაც „ფრიადზე" ჩააბარებს გამოცდას!

ა. ციბაძე.

სურათზე: ლალი რევია ვარჯიშის დროს.

ფოტო ავტორისა.

ბურთის ზომისა და წონის გავლენა საჯარიმო სროლათა შედეგიანობაზე

კალათბურთი

მწვრთნელთა დასახმარებლად

ცნობილია, რომ ბავშვთა შორის კალათბურთში რეგულარული მეცადინეობა 10-11 წლის ასაკიდან იწყება. სავარჯიშოდ იყენებენ სტანდარტულ ბურთებს, რომელთა ზომა და წონა ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობებს არ შეეფარდება. სწორედ ამიტომ არის რომ, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი იძულებულია უარი თქვას ისეთი მნიშვნელოვანი ტექნიკური ილეთების სწავლებაზე, როგორიცაა საშუალო მანძილიდან სროლა, ცალი ხელით ბურთის გადაცემა, ჟონგლირება და სხვ. კიდევ მეტიც,—სტანდარტული ბურთების გამოყენებამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოძრაობის არასწორი ჩვევების გამომუშავებამდე.

კალათბურთის სწავლების პროცესში ტექნიკური მომზადება ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს.

ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა ბურთის წონის გავლენა საჯარიმო სროლების ეფექტურობაზე. ამ მიზნით ჩავატარეთ დაკვირვება იმ ბავშვებზე, რომლებიც სხვადასხვა წონისა და ზომის ბურთებს იყენებენ.

დაკვირვება ტარდებოდა გამოსაცდელთა სამ ჯგუფზე. ისინი 12-14 წლის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული, ისეთებით, რომლებიც არ თამაშობენ კალათბურთს. პირველი ჯგუფი სროლებს აწარმოებდა შემსუბუქებული ბურთით (30 სროლა), მეორე — სტანდარტულით (30 სროლა), ხოლო მესამე — პირველ 15 სროლას შემსუბუქებული ბურთით, ხოლო დანარჩენ 15-ს—სტანდარტული ბურთით. დაკვირვება წარმოებდა 40 ბავშვზე (პირველ ჯგუფში 12, დანარჩენებში—14-14). შედეგების რეგისტრაცია ხდებოდა სპეციალურად დამუშავებულ ოქმში, რომელშიც მოცემული იყო გამოსაცდელის გვარი, წლოვანება, საჯარიმო სროლების მონაცემები და სხვ.

სროლების ეფექტურობის შეფასებისთვის მხედველობაში იქნა მიღებული დაშვებული შეცდომების შედეგიანობა და ხასიათი. შეცდომების კლასიფიკაციის საფუძვლად კალათის მიმართ ორი ძირითადი მიმართულება მივიღეთ: საგიტალურ და ფრონტალურ სიბრტყეებზე, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო შეცდომების შემდეგი დამახასიათებელი ჯგუფები: ა) საგიტალურ სიბრტყეზე — ბურთის მიუღწევლობა და გადაცილება; ბ) ფრონტალურ სიბრტყეზე — ბურთის მარცხნივ და მარჯვნივ გადახრა.

ამგვარი კლასიფიკაცია ისეთ შეცდომებსაც შეიცავს, როგორიცაა ბურთის კალათამდე მიუღწევლობა, ბურთის მოხვედრა კალათის წინა მხარეს, უკანა მხარეს, მარჯვენა, შუა ან მარცხენა მხარეს და ა. შ. მიღებული მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საჯარიმო სროლების შედეგიანობის უფრო მაღალ მაჩვენებელს იმ გამოსაცდელებმა მიაღწიეს, რომლებიც იყენებდნენ შემსუბუქებულ ბურთს. შედეგიანობის პროცენტი შემდეგი ციფრებით გამოიხატება: 25,2 პროცენტი და 9,4 პროცენტი. მესამე ჯგუფის გამოსაცდელებმა სტანდარტული ბურთების სროლისას აჩვენეს შედეგიანობის შედარებით მაღალი პროცენტი — 17,1. სამივე ჯგუფის გამოსაცდელებში შეიმჩნეოდა ერთი ტიპის შეცდომები. ის ჯგუფი, რომელიც შემსუბუქებულ ბურთს იყენებდა, საერთო ჯამში შეცდომების ნაკლები რაოდენობით გამოირჩეოდა.

დამახასიათებელია შეცდომათა (ბურთის მიუღწევლობა) რაოდენობის მკვეთრი შემცირება. თუ მძიმე ბურთით მიუღწევლობა 27,2 პროცენტს შედგენდა, შემსუბუქებული ბურთით იგი თითქმის სამჯერ ნაკლებია — 8,1 პროცენტი. რაც შეეხება სხვა სახის შეცდომებს, აქ დაახლოებით თანაბარი განაწილება შეიმჩნევა (იხ. ცხრილი № 2).

მესამე ჯგუფის გამოსაცდელთა მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეცდომათა ხასიათი ასევე ერთი ტიპისაა და სროლისას, ბურთის წონის მიუხედავად, შეიმჩნევა მიუღწევლობის ხარისხის მნიშვნელოვანი დაცემა. ამას გარდა, მესამე ჯგუფის გამოსაცდელებმა ნაკლები შეცდომა დაუშვეს ბურთის მარჯვნივ გადახრისას (იხ. ცხრილი № 2).

როგორც მიღებული შედეგები ცხადყოფენ, საჯარიმო სროლების ეფექტურობა უმჯობესდება ბურთის წონისა და ზომის შემცირებასთან ერთად.

შეცდომათა ხასიათი ბურთის ზომისა და წონის მიუხედავად, მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. გამოსაცდელ ჯგუფს, რომელიც შემსუბუქებულ ბურთებს იყენებდა, მოხვედრის შედარებით მაღალი შედეგიანობა ახასიათებდა. სხვა სახის შეცდომები (საგიტალურ ან ფრონტალურ სიბრტყეებზე) დაახლოებით თანასწორ ნაწილად იყოფა. მესამე ჯგუფის გამოსაცდელებმა თითქმის ორჯერ აამაღლეს სტანდარტული ბურთებით სროლის შედეგიანობა. მონაცემები, რომლებიც მესამე ჯგუფის გამოსაცდელებმა გვიჩვენეს, ლაპარაკობენ იმაზე, რომ ბურთის წონისა და ზომის ცვლა (მსუბუქიდან მძიმისკენ) გვაძლევდა დადებით შედეგებს (იხ. ცხრილები № 1 და № 2).

აქედან გამომდინარე: 1. საჯარიმო სროლების ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ბურთის ზომასა და წონასთან; 2. ბურთის წონის შეცვლასთან შეჩვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს; 3. დაშვებული შეცდომების ხასიათი ყველა შემთხვევაში თანაბარია და ისინი მხოლოდ პროცენტული შეფარდებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა, შემსუბუქებული ბურთით სროლისას შეიმჩნევა შეცდომათა რაოდენობის მნიშვნელოვანი დაქვეითება საგიტალურ სიბრტყეზე (მიუღწევლობა); 4. შემსუბუქებული ბურთის ხმარება 10-12 წლის ბავშვებთან შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ტექნიკური მომზადების ხარისხი და გავაფართოვოთ ნორჩ კალათბურთელთა ტექნიკის არსენალი.

რ. რუხაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტთამაშების კათედრის უფროსი ლაბორანტი.

ა. ბურჭულაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბიომექანიკის ლაბორატორიის გამგე.

ცხრილი № 1.

ბურთის წონა	შედეგიანობა %	შეცდომები საგიტალურ სიბრტყეში	შეცდომები ფრონტალურ სიბრტყეში	სულ შეცდომები
მძიმე კალათბურთის	9,4	73,2	17,4	90,6
შემსუბუქებული კალათბურთის	25,2	51,4	23,4	74,8
მძიმე	17,1	69,1	13,8	82,9
შემსუბუქებული	23,3	63,9	12,8	76,7

ცხრილი № 2.

ბურთის წონა	შეცდომები საგიტალურ სიბრტყეში				შეცდომები ფრონტალურ სიბრტყეში	
	მიუღწევლობა	წინა მხარე	უკანა მხარე	ფარზე	მარცხნივ	მარჯვნივ
მძიმე კალათბურთის	27,2	16,8	16,4	12,7	7,4	10,1
შემსუბუქებული კალათბურთის	8,1	16,4	15,2	11,7	11,9	11,5
მძიმე	17,1	31,9	12,9	7,1	10,0	3,8
შემსუბუქებული	9,0	20,9	23,3	10,5	6,7	6,1

რაიონებში სტრიქონებად

ზესტაფონი

რაიონის მოჭადრაკეთა ტრადიციულ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა გ. თურქაძემ, II — ა. ვეფხვაძემ (ორივენი — ფეროშენადნობის ქარხნის ინჟინრები), III — ჯ. მახათაძემ (პურის ქარხნის ტექნოლოგი). ასპარეზობამ გამოავლინა რამდენიმე ნიჭიერი მოჭადრაკე, მათ შორის ყველაზე მეტად ისახელა თავი მოსწავლე ა. შათირიშვილმა, რომელმაც I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ა. განუგრავა.

ზედიზედ მესამედ

ბათუმი. „დინამოს" სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს „ნორჩი დინამოელის" მძლეოსანთა პირველობა. ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო აფხაზეთის გუნდმა. II ადგილი დაიკავეს თბილისელებმა, III — მასპინძლებმა.

პირად პირველობაში „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მოზარდთა რეკორდები დაამყარა ორმა სპორტსმენმა. ესენი არიან გოგონების (საშუალო ასაკი) ხუთჭიდში გამარჯვებული ს. პონომარიოვა (აჭარა)— 3400 ქულა და ჭაბუკთა რვაჭიდში უძლიერესი გ. არახამია (აფხაზეთი) — 3542 ქულა.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: 110 მეტრზე თარჯრბენში — ბათუმელმა კ. ტრაპაიძემ, 200 მეტრზე თარჯრბენში — სოხუმელმა კ. ნარმანიამ, სიგრძეზე ხტომაში — მისმა თანაგუნდელმა ნ. დანილენკომ, შუბის ტყორცნაში — ი. კოვინკომ (აჭარა) და სხვ. დანილენკომ და კოვინკომ აჩვენეს I თანრიგის შედეგები — შესაბამისად 693 სმ და 67,80 მ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — 800 მ რბენის მომენტი. გაიმარჯვა ა. ტრეშჩევმა (აფხაზეთი); მარჯვნივ — ნ. დანილენკო სიგრძეზე ხტომის დროს.

ტექსტი და ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი ჭადრაკის" ზღურბლზე

ვ. ქარსელაძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ვაჟთა XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

ჩვენი მოჭადრაკეების წლევანდელი ტრადიციული ჩემპიონატი მრავალმხრივ არის საინტერესო. ჩვენ ზოგიერთი საკითხის გარშემო გვინდა ვისაუბროთ.

საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონატის შემადგენლობის დაკომპლექტების სფეროში. შემუშავებულ იქნა ასპარეზობათა ისეთი სისტემა, რომელმაც ჩემპიონატში ჭეშმარიტად უძლიერეს მოჭადრაკეებს მოუყარა თავი. მასში მოხვდნენ მოჭადრაკეები, რომლებმაც წარმატებით განვლეს, ერთი მხრივ, რესპუბლიკური მასობრივი ტურნირი, საქართველოს მცირე ჩემპიონატი, ხოლო მეორე მხრივ, თბილისის პირველობის ნახევარფინალი და ფინალი. ახალმა სისტემამ სავსებით გაამართლა — ჩემპიონატში შესაძლებელი გახადა სპორტის ოსტატის ნორმის დაწესება. ჩემი აზრით, ამ სისტემას არ უნდა ვუღალატოთ.

ჭადრაკში დაოსტატებას სულ ცოტა 3-5 წელი სჭირდება. იყო დრო, როცა საქართველოს ჩემპიონატებში უმრავლესად პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ. წელს კი ვერც ერთი პირველთანრიგოსანი ვერ მოხვდა ამ ასპარეზობაში. ეს შემთხვევითი ამბავი არ გახლავთ. შეიმჩნევა ოსტატობის კანდიდატთა თამაშის კლასის საგრძნობი ზრდა. ამის ნათელი დადასტურებაა რ. ჯინჯიხაშვილისა და ო. ელიოზიშვილის მიერ სპორტის ოსტატის ნორმის შესრულება. უახლოეს დროში ჩვენი ოსტატების ოჯახს, ვფიქრობთ, შეემატებიან ი. ჩიქოვანი, გ. მაჭავარიანი, ჯ. ბერაძე, თ. გიორგაძე და სხვ.

სპორტის ოსტატის წოდების მოპოვება ჩვენი მზარდი მოჭადრაკეებისათვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ისინი თავიანთი შემოქმედებითი დონის ასამაღლებლად ილწვოდნენ და, როგორც ლოგიკური შედეგი, ამას მოჰყვებოდა ოსტატობაც. მაგრამ უცილობელია ისიც, რომ ოსტატის წოდება მეტ მოთხოვნებს უყენებს მოჭადრაკეს, უბიძგებს სერიოზული წარმატებებისაკენ. სამწუხაროდ, ხდება ისიც, რომ კარგად მომზადებულ ოსტატობის კანდიდატს არ ეძლევა ოსტატის ნორმის შესრულების შესაძლებლობა და ამის გამო იგი კარგავს ინტერესს, გული უტყდება და ზოგჯერ თავსაც ანებებს ჭადრაკს. აი, მაგალითიც:

დ. ჯანოევმა და გ. კალატოზიშვილმა სხვადასხვა დროს შეასრულეს ოსტატის ნორმა (გ. კალატოზიშვილმა 1 ქულის გადაჭარბებით), მაგრამ მათ ეს წოდება არ მიანიჭეს. სხვათა შორის, დღესაც არ ვიცით ამის მიზეზი. სამწუხაროდ, არც ჩვენი ფედერაცია დაინტერესებულა ამ არანორმალური ფაქტით. და აი, შედეგიც: დ. ჯანოევი გაურბის შეჯიბრებებს და თუკი მონაწილეობს, ძალზე მკრთალი შედეგებით. გ. კალატოზიშვილმა კი XXVI ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადა.

მსგავსი შემთხვევა რომ არ განმეორდეს, ფედერაციამ ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს. საჭიროა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის საკლასიფიკაციო კომისიას საგანგებოდ მოვთხოვოთ ახსნა-განმარტება და იგი მსჯელობის საგნად გავხადოთ.

წინ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ცხარე ბრძოლები გველის. ჩვენ საგანგებოდ ვემზადებით მისთვის. XXVI ჩემპიონატმა დაგვარწმუნა, რომ რესპუბლიკა ძლიერი გუნდით წარსდგება ასპარეზზე. ახლა საჭიროა, რომ მოჭადრაკეებმა მუშაობა არ შეანელონ, მეტი იკითხონ და ითამაშონ. ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში ეს ყველაფერი გათვალისწინებულია. ამასთან, გუნდის შემადგენლობის საბრძოლო შეკავშირებისათვის ნავარაუდევია ამხანაგური მატჩების მოწყობა მოძმე რესპუბლიკების კოლექტივებთან.

XXVI ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ჩვენში საფუძველი ჩაეყარა დიდ ჭადრაკს. დიდოსტატებმა ვერაფრით გააკვირვეს ჩვენი წამყვანი მოჭადრაკეები. ახლა დღის წესრიგში დგას საქართველოს ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა გაძლიერებული მუშაობა. ამისთვის ჩვენში ყველა პირობა არსებობს. საჭიროა მხოლოდდამხოლოდ მონდომება.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთში.

„სამეგრელო" (ზუგდიდი) — „თოლია" (თბილისი) 1:4. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

სტუმრების აქტიურობა და, მასთან ერთად, საერთო ინიციატივაც გამოვლინდა ჯერ კიდევ დასაწყისში და ზუგდიდელებს პირველ ტაიმშივე სამჯერ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. შემდგომში თამაში შედარებით გათანაბრდა, თუმცა „თოლიამ" შეძლო კიდევ 1 ბურთის გატანა. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე დააღწიეს მასპინძლებმა თავი „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას.

● **„დილა" (გორი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:0. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).**

გორელებმა მეტოქეებს პირველივე წუთიდან სწრაფი ტემპი შესთავაზეს. ქობულეთელები სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ მას და მინდორზე გაჩაღდა დაძაბული ბრძოლა. „დილის" კართან რამდენჯერმე შეიქმნა სახიფათო მომენტი, მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს მათი გამოყენება. სამაგიეროდ, გორელები უფრო შედეგიანი აღმოჩნდნენ შეტევაში: 66-ე წუთზე თოფურიამ გახსნა ანგარიში. მატჩის დასასრულს კი რევაზიშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.

● **„მეშახტე" (ტყვარჩელი) — „მადაროელი" (ჭიათურა) 0:0. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).**

● **„მერცხალი" (მახარაძე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

პირველ ტაიმში მიმდინარეობდა თანაბარი, ორმხრივი ბრძოლა და ერთ-ერთი შეტევისას, 36-ე წუთზე, მახარაძელებმა (კანდელაკი) გაიტანეს გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

● **„გურია" (ლანჩხუთი) — „სინათლე" (თბილისი) 3:3. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

თამაში მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა და ის, რომ იგი ასე „უხვმოსავლიანი" გამოდგა გოლების მხრივ, გასაკვირი არაა: თავდამსხმელები თამაშობდნენ აქტიურად და შედეგიანად. პირველი ტაიმი მოიგეს თბილისელებმა — 2:1. შესვენების შემდეგ ისინი კვლავ წინ იყვნენ ანგარიშით 3:2. „გურიამ" მთელი თავისი ძალები მოახმარა თანაფარდობის აღდგენას და მიაღწია კიდეც მიზანს.

● **„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ცისკარი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

ცხაკაიელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა დასაწყისიდანვე, მაგრამ მრავალი შესაძლებლობიდან მათ გამოიყენეს მხოლოდ ერთი, ხოლო 56-ე წუთზე საპასუხო გოლი მიიღეს ვასაძისაგან. მატჩი ასეც დამთავრდა.

● **„განთიადი" (ბორჯომი) — „წინსვლა" (წულუკიძე) 5:0. მსაჯი ვ. პეტროვი (რუსთავი).**

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).**

მეორე ჯგუფში

I ზონა: „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ქართლი" (გორი) 2:3, „ისანი" (თბილისი) — „კახეთი" (ველისციხე) 4:0, „ნადიკვარი" (თელავი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 2:1. ყვარლის „დურუჯს" მოგება ჩაეთვალა ცხინვალის „ირისტონთან".

II ზონა: „სამგურალი" (წყალტუბო) — „დინამო" (სოხუმი) 7:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სულორი" (ვანი) 2:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „დინამო" (ქუთაისი) 2:0, „კოლხიდა" (ხობი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 0:0, „აერო" (გალი) — „ცისკარა" (ბათუმი) 3:0.

ზონებში...

მოგვყავს ზონალური გათამაშების შედეგები: **VI ზონა.** ახალქალაქი — წალკა 1:1, ბოგდანოვკა — ხაშური 0:0. **VII ზონა.** ახმეტა — თელავი 2:3, წითელწყარო — საგარეჯო 2:3, ლაგოდეხი — სიღნაღი 2:2. **VIII ზონა.** ქარელი — თეთრი წყარო 3:2, დუშეთი — კასპი 4:0, დმანისი — მცხეთა 1:3. **IX ზონა.** ონი — ცაგერი 5:1, ჭიათურა — თერჯოლა 5:3. **X ზონა.** ჩხოროწყუ — ლანჩხუთი 6:0, ჩოხატაური — სამტრედია 1:2.

გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 28 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" (ლანჩხუთი)	13	7	4	2	19—11	18
„მესხეთი" (ახალციხე)	12	7	2	3	16—10	16
„დილა" (გორი)	13	7	1	5	21—15	15
„შუქურა" (ქობულეთი)	12	5	5	2	21—17	15
„თოლია" (თბილისი)	13	4	7	2	19—15	15
„სინათლე" (თბილისი)	13	4	7	2	20—16	15
სკა (თბილისი)	13	3	8	2	24—15	14
„ცისკარი" (ცხაკაია)	13	4	6	3	19—16	14
„წინსვლა" (წულუკიძე)	14	5	4	5	18—27	14
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	13	5	3	5	11—14	13
„განთიადი" (ბორჯომი)	13	4	4	5	15—18	12
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	14	3	6	5	11—19	12
„მადაროელი" (ჭიათურა)	13	4	3	6	17—19	11
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	13	3	4	6	10—13	10
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	14	2	6	5	11—15	10
„მერცხალი" (მახარაძე)	13	3	3	7	14—18	9
„ბახმარო" (ჩოხატაური)	13	1	7	5	10—18	9

მეორე ქვეჯგუფი

I ზონა

„ბახტრიონი" (ახმეტა)	6	4	1	1	13—6	9
„ისანი" (თბილისი)	7	3	3	1	15—7	9
„მეტალურგი" (რუსთავი)	7	3	3	1	13—9	9
„კოლმეურნე" (მარნეული)	8	3	2	3	15—13	8
„ნადიკვარი" (თელავი)	6	3	1	2	12—11	7
„ქართლი" (გორი)	6	3	1	2	9—9	7
„სამცხე" (აწყური)	7	2	3	2	8—10	7
„ირისტონი" (ცხინვალი)	7	2	2	3	7—6	6
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	8	2	1	5	7—5	5
„დურუჯი" (ყვარელი)	6	2	1	3	8—7	5
„კახეთი" (ველისციხე)	8	2	0	6	7—19	4

II ზონა

„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	9	7	1	1	28—6	15
„აერო" (გალი)	8	6	0	2	18—8	12
„ცისკარა" (ბათუმი)	9	6	0	3	13—11	12
„სამგურალი" (წყალტუბო)	8	4	3	1	13—6	11
„თოლია" (ფოთი)	7	4	0	3	11—9	8
„სალხინო" (გეგეჭკორი)	8	4	0	4	13—11	8
„სულორი" (ვანი)	7	2	3	2	11—15	7
„კოლხიდა" (ხობი)	7	2	2	3	7—8	6
„ჭიხურა" (საჩხერე)	7	2	2	3	9—12	6
„დინამო" (სოხუმი)	7	1	2	4	9—18	4
„საირმე" (მაიაკოვსკი)	7	1	0	6	10—17	2
„დინამო" (ქუთაისი)	7	0	1	6	4—19	1

2. თბილისი — ტურისტული...

აი, თბილისის ტურისტული ბაზის სტუმრების ერთ-ერთი ჯგუფიც. ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას ისინი უშუალო „მეზობლობიდან" იწყებენ: კულტურისა და დასვენების ვაკის პარკი, რომელიც უშუალოდ ეკვრის ტურისტული ბაზის ახალ შენობას, განახლებული თბილისის ერთ-ერთი წარმტაცი კუთხეა.

„თბომავალს" — ვიმპელი

ერთი წლის ისტორია აქვს ქუთაისის რკინიგზის კვანძის სპორტკლუბ „თბომავალს", რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რკინიგზელთა შორის ფიზკულტურის მასობრიობისთვის. მარტო შარშან აქ მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 10 პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგთა 263 სპორტსმენი, 35 საზოგადო ინსტრუქტორი და ა. შ.

ამიტომ იყო, რომ შარშან სპორტულ და ფიზკულტურულ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისთვის ქუთაისის რკინიგზის კვანძის სპორტკლუბი „თბომავალი" ამას წინათ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭომ ვიმპელით დააჯილდოვა.

ი. ბუხაიძე.

ქუთაისი.

ახალი ამბები

● **ტალინი,** 29 ივნისი. დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს თანამედროვე ხუთჭიდელთა ასპარეზობა. გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ა. მოკეევმა — 5286 ქულა. II ადგილზე გავიდა პ. ლედნევი — 5149, მესამეზე — მსოფლიოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი — 5119. გუნდურ ჩათვლაში ტურნირი მოიგეს არმიელმა სპორტსმენებმა.

● **ვოლგოგრადი, 29 ივნისი.** აქ დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა წყალში ხტომაში, რომელშიც 10 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების ბოლო დღეს ქალები ტრამპლინიდან, ხოლო ვაჟები კოშკიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. ქალებში გაიმარჯვა 15 წლის მ. დელიტჩმა (გდრ) — 278,70 ქულა, II იყო ი. კაზაკოვა (სსრ კავშირი) — 264,15, III — მისი თანაგუნდელი ნ. კარპუხინა — 259,50. **ვაჟებში ასპარეზობა მოიგო თბილისელმა ბ. პოლულიახმა** — 478,20 ქულა. შემდეგ ადგილებზე არიან: რუმინელი პ. დეკუძეარა (439) და ფინელი პ. კოსკინენი (427,95).

● **საბჭოთა** პარაშუტისტი ქალები განაგრძობენ რეკორდების შტურმს. 29 ივნისს სპორტის ოსტატმა ო. რუკოსუევამ მოახდინა ღამის ხანგრძლივი ხტომა სტრატოსფეროდან. მან 12.500 მეტრის სიმაღლეზე დატოვა თვითმფრინავი „ან-12" და პარაშუტის გაუხსნელად 11900 მეტრი „იფრინა". ეს შედეგი მსოფლიოს ახალი მიღწევაა. მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა აგრეთვე გ. გრუდინინამ, რომელმაც განახორციელა ნახტომი პარაშუტის დაუყოვნებლივი გახსნით 12550 მეტრის სიმაღლიდან. ამ სპორტსმენის მიერ მიღწეული შედეგი 6155 მეტრით აღემატება მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს, რომელიც 1962 წელს დაამყარა ამერიკელმა პარაშუტისტმა ქალმა ს. პოლემა.

იოლად, დაუძაბავად...

ფრენბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების IV ტურზე თბილისის სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი მოუთმენლად ელოდა სსრ კავშირის I და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრას. ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ ორივე კოლექტივს მანამდე გამართული ყველა შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და სწორედ ამ მატჩში უნდა გარკვეულიყო, ვინ გახდებოდა ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი. თუმცა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ საბჭოთა სპორტსმენები ამ ბრძოლას თავის სასარგებლოდ დაამთავრებდნენ. მაგრამ იოლად შესძლებდნენ თუ არა ისინი ამ ამოცანის გადაწყვეტას? პროგნოზების საპირისპიროდ, ჩვენმა ფრენბურთელებმა სრულიად თავისუფლად, დაუძაბავად შეძლეს „მშრალი“ ანგარიშით (3:0) გამარჯვება. მასპინძლებმა მეტოქეები ძირითადად თავდასხმაში ზუსტი ურთიერთმოქმედებით, ხოლო დაცვაში — ბლოკის უბადლო დაყენებით დაჯაბნეს. გარდა ამისა, ჩვენმა ფრენბურთელებმა კორეელთა ტემპიან თამაშს შედარებით მშვიდი მოქმედება დაუპირისპირეს და იმასაც მიაღწიეს, რომ სტუმრებმა თავიანთთვის ჩვეული თამაში ვერ ააწყეს.

ასევე მშრალი გამარჯვება (3:0) მოიპოვეს გერმანელებმა პოლონელებთან, ხოლო იაპონელებმა — საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრების წევრებთან. ამ უკანასკნელებთან შეხვედრა იაპონიის ეროვნულმა გუნდმა ძალიან ძლიერად ჩაატარა, რაზეც პარტიების შედეგებიც მეტყველებს — 15:4, 15:6, 15:3.

გუშინ გაიმართა ბოლო ტური. სსრ კავშირის I ნაკრებმა დაამარცხა იაპონიის გუნდი — 3.2 (11:15, 15:7, 15:12, 14:16, 15:7) და 10 ქულით I ადგილი დაიკავა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და გდრ-ის ნაკრებთა შეხვედრაში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 3:2 (15:11, 14:16, 15:9, 8:15, 15:10), ხოლო პოლონეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (7:15, 15:8, 15:6, 15:12).

II ადგილი 8 ქულით მოიხვეჭეს კორეელებმა. ამდენივე ქულა აქვთ III ადგილზე გასულ გერმანელებს.

სურათზე: სსრ კავშირის I ნაკრებისა და კორეელთა გუნდის შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ინტერვიუ დენის ლოუსთან

ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი დენის ლოუ ამას წინათ უნგრეთში იყო. ბუდაპეშტის სპორტულმა ჟურნალისტებმა მას შეხვედრა გაუმართეს და, ბუნებრივია, ბევრი შეკითხვაც მისცეს.

მცირე შემოკლებით ვბეჭდავთ ამ კითხვა-პასუხებს.

● ვინ მიგაჩნიათ ევროპის საუკეთესო მოთამაშედ და რატომ?

— უეჭველად ჰენტო — მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული მარცხენა ფრთა! ამ ფეხბურთელის თამაში მე მუდამ გრიგალს მაგონებს. იგი სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკურია.

● რომელი კლუბი მიგაჩნიათ უძლიერესად მსოფლიოში?

— მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმეს: „ინტერნაციონალე“ (იტალია), „რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „სანტოსი“ (ბრაზილია), „პენიაროლი“ (ურუგვაი). და მაინც, ყველაზე ძლიერ კლუბად ვთვლი ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“.

● ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთში 1966 წელს?

— არ ვიცი რომელი გუნდები მოიპოვებენ ფინალში მონაწილეობის უფლებას, მაგრამ ვფიქრობ: მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისის ნაკრები უნდა გახდეს.

▲ **ბუქარესტი.** რუმინეთის ჩემპიონი ფეხბურთში გახდა ადგილობრივი „დინამო“, რომელმაც 38 ქულა მოაგროვა. II საპრიზო ადგილი მოიპოვა ბუქარესტის „რაპიდმა“ (37), ხოლო მესამე — „სტიაიუამ“ (31).

„ვაჭრობა“ დაიწყო

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყო ტრადიციული „ვაჭრობა“ ფეხბურთელებით. იმის გამო, რომ 1966 წლის ივლისამდე აკრძალულია უცხოელი ფეხბურთელების ყიდვა, ახლა მთელი ყურადღება გადატანილი იქნა იტალიაში მყოფი მოთამაშეების გაცვლასა და ყიდვა-გაყიდვაზე. განსაკუთრებით აქტიურობს „რომა“, რომლის ხელმძღვანელობა აპირებს მთლიანად გაახალისოს გუნდი. „რომას“ საუკეთესო მცველი, გერმანელი შნელინგერი გაისად „ტორინოში“ ან „მილანში“ ითამაშებს. ამავე გუნდის ფორვარდი, არგენტინელი ანჯელილო გადავა „მილანში“, ხოლო მის სანაცვლოდ „რომაში“ ითამაშებს „მილანის“ ნახევარმცველი, პერუელი ბენიტესი.

„რომას“ ახალგაზრდა ფორვარდე სისტიში ტურინის „იუვენტუსი“ არჩევანზე სთავაზობს ცენტრალურ მცველს სალვადორეს ან ესპანელ ფორვარდ დელ სოლს.

„იუვენტუსი“ ჰყიდის აგრეთვე ფრანგ კომბენს, რომელიც ალბათ „ვარეზეში“ ითამაშებს. „რომას“ ხელმძღვანელობა ერთდროულად ორ ცენტრფორვარდს ყიდულობს — 31 წლის ინგლისელ ჰიტჩენსს („ტორინოდან“) და ესპანელ პეიროს („ინტერნაციონალედან“).

მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ე. ერერაც აპირებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას. მას ძალიან უყვარს ახალი ტალანტების გადმობირება და წელსაც, როგორც ჩანს, ჩვეულებას არ ღალატობს (კერძოდ, „ფოჯას“ ახალგაზრდა მცველ მიჩელის უკვე გაეგზავნა მიწვევა). ჩემპიონის მეკარე სარტის შემცვლელი არა ჰყავს, მაგრამ ერერამ უკვე 3 კანდიდატი გამონახა: პიცაბალა („ატალანტა“), ალბერტოზი („ფიორენტინა“) და მინიუსი („ვარეზე“). „ინტერნაციონალეს“ პატრონმა, მილიონერმა ა. მორატიმ 400 მილიონი ლირა შესთავაზა „მილანს“ ბრაზილიელ ალტაფინ-მაცოლაში. იგივე ფეხბურთელის შესასყიდად „ტორინომ“ 200 მილიონი ლირა გაიღო.

ვაჭრობა მხოლოდ დაიწყო. სეზონის გახსნამდე კიდევ ბევრი დრო რჩება და იტალიელმა გულშემატკივრებმა, შესაძლოა, ვერც იცნონ თავიანთი გუნდები, როდესაც ისინი კვლავ გამოვლენ მწვანე მინდვრებზე. (საქ. ინფ.).

რევოლვერები სპორტსმენის წინააღმდეგ

პრეტორიაში ახალგაზრდა აფრიკელმა მძლეოსანმა საბვა იდენამ ამას წინათ გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა საუკეთესო შედეგი, რომელსაც ქალაქის თეთრმა მაცხოვრებელმა მიაღწია. სპორტსმენი ჩინებულად მოემზადა შეჯიბრებისათვის და წვრთნაზე იოლად უჩვენებდა თეთრ ჩემპიონზე უკეთეს დროს.

ჩვეულებრივ, პრეტორიაში აფრიკელთა შეჯიბრებები თეთრი მაყურებლების ყურადღებას არ იპყრობს. მაგრამ ამჯერად ასპარეზობის ადგილზე პოლიციელთა დაცვის თანხლებით მოვიდა შექეიფებულ რასისტთა ჯგუფი. მათ თავხედურად გაარღვიეს შეკრებილები და სარბენ ბილიკს მიუახლოვდნენ. აფრიკელი სპორტსმენები გრძნობდნენ, რომ რაღაც პროვოკაცია მზადდებოდა, მაგრამ არ ისურვეს შეჯიბრების გადადება, ვინაიდან მის ჩატარებაზე დიდი წვალებით მიიღეს ხელისუფალთა ნებართვა.

პირველი გარბენის დროს, რომელშიც საბვა იდენა არ მონაწილეობდა, რასისტები მხოლოდ უსტვენდნენ და ღმუოდნენ. მაგრამ აი, სტარტზე გამოვიდა საბვა იდენა. მან რბენა შესანიშნავ ტემპში დაიწყო და მაშინვე ცხადი გახდა, რომ თეთრი ჩემპიონის რეკორდი დაემხობოდა. როდესაც იდენა იმ ადგილს გაუთანასწორდა, სადაც რასისტი ვაჟბატონები იყვნენ შეკრებილნი, გამძვინვარებული გინება ჩაესმა: „ეი, შენ, ბინძურო შავო კუ! ჩვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ეჯიბრო თეთრებს!“.

სწორედ ამ დროს სპორტსმენის მიმართულებით გაიშხუილეს ქვებმა. ერთმა ქვამ ცხვირი გაუტეხა ზანგ მორბენალს, მეორე — თავში მოხვდა. სისხლის წვეთები ეცემოდა სარბენ ბილიკზე. მაგრამ სპორტსმენი განაგრძობდა რბენას და ადრინდელ ტემპს ინარჩუნებდა. მაშინ რამდენიმე თეთრკანიანმა გააფთრებით ჩაბღუჯა ხელთ რევოლვერები...

საბვას მეგობრები ბილიკზე გამოცვივდნენ და სპორტსმენი ძალით გაიყვანეს. მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო.

პრეტორიაში მომხდარი ამბავი შემთხვევითი არ გახლავთ. რასიზმი აძლიერებს თავის ტერორს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის — სპორტულშიც. ამ დღეებში მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც სპორტსმენებს ეხება. ამ რასისტული კანონის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „უცხო გავლენები“ საფრთხეს უქმნის „ქრისტიანულ რწმენას, ცხოვრების ტრადიციულ წესს, კანონსა და წესიერებას“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამიტომ ყველა „სპორტული თუ კულტურული ღონისძიება, საზოგადო ხასიათისა იქნება იგი თუ კერძოსი, ცალკე უნდა ჩატარდეს თეთრებისათვის და ცალკე — შავებისათვის“.

„არათეთრი“ მაყურებლები ამიერიდან აღარ დაიშვებიან სტადიონებზე ადგილობრივი შეჯიბრებების დროს (წინათ მათთვის ადგილებს საგანგებოდ გამოჰყოფდნენ ეკლიანი მავთულის მიღმა). საერთაშორისო შეჯიბრებებში შავებს „თავიანთ ტრიბუნაზე“ შესვლის უფლება მხოლოდ მას შემდეგ აქვთ, რაც განსაკუთრებულ საშვს მიიღებენ. ამ კანონის დარღვევისათვის 6 თვის ციხეა, 2750 დოლარი ჯარიმა, ხოლო „დამნაშავეს“ ფული თუ არ აღმოაჩნდება, მას ამ თანხას გამოამუშავებინებენ ურანის საბადოებში, საიდანაც იშვიათად თუ ბრუნდება ვინმე ცოცხალი და ჯანმრთელი.

სპორტში რასობრივი დისკრიმინაციის თვით ისეთმა აღიარებულმა მომხრემაც კი, როგორიცაა „თეთრების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის“ წევრი რეჯინალდ ხონეი, აღიარა: „ამ კანონის მიღება სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ჩვენს საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობას“. და მართლაც, უკვე დღესვე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რასისტები იმკიან იმას, რაც დათესეს. მაგალითად, დევისის თასზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელთა უკანასკნელი შეხვედრა ნორვეგიაში იძულებული გახდნენ ჩაეტარებინათ უმაყურებლებოდ, სპეციალურ დახურულ კორტზე. ნორვეგიის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ერთსულოვნად მოითხოვა რასისტების ბოიკოტი.

რასისტებმა კვლავ დაანახვეს მთელ მსოფლიოს თავიანთი ფაშისტური სახე. მაგრამ ვერავითარი დრაკონული კანონებით ვერ ჩაახშობენ ისინი სამხრეთ აფრიკის მკვიდრთა სულ უფრო მძლავრ მოძრაობას თავისუფლებისათვის, თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

ა. გურკოვი.

ვ. თბილისი — ქ. ტურისტული...

თბილისში სტუმრად ჩამოსული ტურისტები ჩვენი დედაქალაქის მხოლოდ დღევანდელობას როდი ეცნობიან. მდიდარი ისტორიული წარსულის მრავლისმეტყველი ძეგლები — მეტეხი თუ ნარიყალა, სიონი თუ 300 არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკი, — რომლებსაც ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის საუკუნეთა სიღრმეში მივყავართ, ტურისტთა ღრმა ინტერესით სარგებლობს.

ფოტორეპორტაჟი მ. ზარგარიანისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო—8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00696